

შპს „შპს ედმიქსერ ედვერთაიზინგ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-24
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3.6	169,693
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.3	1,683,625
ძირითადი საშუალებები	3.2	27,530
სულ აქტივები		1,880,848
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	6	1,429,159
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		22,457
საგადასახადო ვალდებულებები		114,003
სულ ვალდებულებები		1,565,619
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		315,229
სულ საკუთარი კაპიტალი		315,229
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,880,848

შპს „შპს ედმიქსერ ედვერთაიზინგ ჯორჯია“-ს დირექტორი


ირაკლი კვეკვეცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31-12-24
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.6	169,693
ძირითადი საშუალებები	3.3	1,683,625
სულ აქტივები	3.2	27,530
		1,880,848
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6	1,429,159
საგადასახადო ვალდებულებები		22,457
სულ ვალდებულებები		114,003
		1,565,619
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		315,229
სულ საკუთარი კაპიტალი		315,229
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,880,848

შპს „შპს ედმიქსერ ედვერთაიზინგ ჯორჯია“-ს დირექტორი

ნ. 53



ბრუნდის კვანძი

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

	შენიშვნა	2024
შემოსავალი გაყიდვებიდან		8,455,005
გაყიდვების თვითღირებულება		-7,250,092
საერთო მოგება		1,204,913
ხელფასის ხარჯი		-682,357
იჯარის ხარჯი		-61,964
კომუნალური ხარჯები		-4,247
მარკეტინგული ხარჯი		-59,202
სხვა საოპერაციო ხარჯი		-59,887
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-2,953
სულ საოპერაციო ხარჯები		-870,610
საოპერაციო მოგება		334,303
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-28,076
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		9,002
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		-19,074
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		315,229

შპს „შპს ედმიქსერ ედვერთაიზინგ ჯორჯია“-ს დირექტორი

ირაკლი კვეკვეცია

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024
შემოსავალი გაყიდვებიდან		8,455,005
გაყიდვების თვითღირებულება		-7,250,092
საერთო მოგება		1,204,913
ხელფასის ხარჯი		-682,357
იჯარის ხარჯი		-61,964
კომუნალური ხარჯები		-4,247
მარკეტინგული ხარჯი		-59,202
სხვა საოპერაციო ხარჯი		-59,887
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-2,953
სულ საოპერაციო ხარჯები		-870,610
საოპერაციო მოგება		334,303
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-28,076
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		9,002
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		-19,074
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		315,229

შპს „შპს ედმიქსერ ედვერთაიზინგ ჯორჯია“-ს დირექტორი

ნ. 530530



ი. ანდრეასიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		0
კაპიტალის გაზრდა		0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0
პერიოდის მოგება-ზარალი		315,229
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		315,229

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	შენიშვნა	2024
ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		8,025,689
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		-5,796,800
თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები		-495,184
გადახდილი გადასახადები		-1,362,733
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან		-184,200
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		186,772
ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		-7,069
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		0
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-7,069
ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები		0
გაცემული სესხები		0
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		179,703
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-10,010
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		169,693

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ედმიქსერ ედვერთაიზინგ ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2024 წლის იანვარში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 405671492) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევი, N 3, ბინა N 3.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა, კომპანია არის Google-ის სარეკლამო პლატფორმის ოფიციალური გაყიდვების წარმომადგენელი საქართველოში.

კომპანიის დამფუძნებლები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

დიმიტრი ტიკარაძე, 26001000951 – (რეგისტრაციის ადგილი: საქართველო) – 40%-იანი წილის მფლობელი;

კერძო შეზღუდული კომპანია ედმიქსერ ედვერთაიზინგ ლიმიტედ, 14971533 – (რეგისტრაციის ადგილი: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) – 60%-იანი წილის მფლობელი.

საჯარო რეესტრი მონაცემების მიხედვით კომპანიის დაარსების დღიდან მის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი ირაკლი კვეკვეცია (პ/ნ 42001038988)

2024 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 11 ადამიანი.

2024 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოში მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2. შედგენის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძველი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონცეფციის შესაბამისად.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა: საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარის სიზუსტით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის ნებისმიერ დაუბრუნებად გადასახადებს და სხვა პირდაპირ მისაკუთვნებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა ძირითად კომპონენტს, რომლებსაც

აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მისი ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან.

კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს და სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 წელი;

	2024
საოფისე ტექნიკა	24,933
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2,597
სულ ძირითადი საშუალებები	27,530

3.3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი.

საანგარიშგებო პერიოდი ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და თუ არსებობს რაიმე გარემოებები ან გონივრული ეჭვი იმისა რომ ვერ მოხდება მოთხოვნების დაფარვა გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

3.4. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.4.1. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი, რომელსაც იყენებს საოფისედ.

3.5. შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა. ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს რეკლამის განთავსებისა და მომსახურებისათვის მიღებული საკომისიო შემოსავალი.

3.6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება მხოლოდ საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთებისგან როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში.

	2024
ეროვნული ვალუტა ბანკში	169,531
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	162
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	169,693

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

5. ფინანსური რისკის ფაქტორები

უცხოური ვალუტის რისკი - კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის უცხოელი მომწოდებლებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

6. დაკავშირებული მხარეები

კომპანიას დაკავშირებულ მხარესთან აქვს საიჯარო ვალდებულება, რომელიც წარმოშობილია საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულება	95,272	0

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

5. ფინანსური რისკის ფაქტორები

უცხოური ვალუტის რისკი - კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის უცხოელი მომწოდებლებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

6. დაკავშირებული მხარეები

კომპანიას დაკავშირებულ მხარესთან აქვს საიჯარო ვალდებულება, რომელიც წარმოშობილია საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულება	95,272	0

შპს „შპს ედმიქსერ ედვერთაიზინგ ჯორჯია“-ს დირექტორი

ნ. ყვავაძე



ირაკლი კახიკაძე